თიბისი ბანკი

# ტენდერი ალუმინის-მინაპაკეტის კარფანჯრების და ტიხრების დამზადება-მონტაჟისს მომსახურებაზე

სატენდერო დოკუმენტაცია



**სს "თიბისი ბანკი"** აცხადებს ღია ელექტრონულ ტენდერს ალუმინის-მინაპაკეტის კარფანჯრების და ტიხრების დამზადება-მონტაჟის მომსახურებაზე. დაინტერესებულმა პირებმა წინადადება უნდა წარმოადგინონ შესყიდვების ელექტრონული სისტემის - www.tenders.ge საშუალებით.

ტენდერში მონაწილე კომპანიებისგან შეირჩევა ერთი პრეტენდენტი, რომლიც სრულად დააკმაყოფილებს ბანკის მოთხოვნებს და წარმოადგენს პროდუქტის-მომსახურების საუკეთესო ფასებს.

შერჩეულ პრეტენდენტთან გაფორმდება მომსახურების 2 წლიანი ხელშეკრულება.

**მომსახურების აღწერა:**

მოსაწოდებელი პროდუქციის და შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი იხ თანდართულ დანართი N2-ში. მომსახურება და პროდუქტის მოწოდება უნდა განხორციელდეს ბანკის მოთხოვნის საფუძველზე.

**მოთხოვნები:**

ტენდერში დაიშვებიან მხოლოდ ის პრეტენდენტები, რომლებიც შეძლებენ შემდეგი მოთხოვნების დაკმაყოფილებას:

- შესაბამის სფეროში მუშაობის მინ. 2 წლიანი გამოცდილება;
- მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საჭირო ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსი;
- ერთდროულად, მაქსიმუმ 3-4 ობიექტზე მუშაობის შესაძლებლობა;

**მონაწილეობის პირობები**

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტმა საჭიროა სისტემაში ატვირთოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული შემდეგი დოკუმენტაცია:

- ***დანართი N1*** *- პრეტენდენტის რეკვიზიტები;*
- ***დანართი N2*** *- ფასების ცხრილი (როგორც PDF ასევე Excel-ის ფაილად);*
- ფასები დაფიქსირებული უნდა იყოს ლარში, საქ. კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით (დღგ, საშემოსავლო და ა.შ.);
- ***დანართი N3*** *- ინფორმაცია ანალოგიური მომსახურეობის შესახებ;*
- ***დანართი N4*** *- აფიდავიტი;*
- ***დანართი N5*** *- იცნობდე შენს პარტნიორს;*
- ***სარეკომენდაციო წერილი*** *- მინ. 3, ბოლო 3 თვის გაცემული (ანალოგიური მომსახურების შესრულებაზე გაცემული)*

**ტექნიკური ხასიათის კითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით:**
ირაკლი გუჩუა 577 922 890 iguchua@tbcbank.ge

**ტენდერის მსვლელობასთან და პროცესთან დაკავშირებულ კითხვებზე დაუკავშირდით:**
ვახტანგ ქიტუაშვილი 599 88 45 30; vkituashvili@tbcbank.ge

შემოთავაზებების მიღების ბოლო ვადა 07.05.2025, 12:00 -18:00 საათი

- ტენდერში გამარჯვების კრიტერიუმია - ღირებულება.
- ფასები დაფიქსირებული უნდა იყოს ლარში, კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით;
- წარმოდგენილი დანართები უნდა იყოს სრულად შევსებული, უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ბეჭდით დამოწმებული, PDF ფორმატში;

- სატენდერო შემოთავაზებაში და ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასთა ცდომილების (სხვაობის) შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასს;
- პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი წინადადების ვადა უნდა შენარჩუნდეს მინ. 30 კალ. დღე.
- გამარჯვებული ვალდებულია თანამშრომლობისათვის წარადგინოს თიბისი ბანკის საბანკო რეკვიზიტები.
- მომწოდებელი ვალდებულია სატენდერო დანართ N1-ში თავიდანვე მიუთითოს სრული ინფორმაცია.
- მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია. პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია ელ. ფოსტით, მისამართზე Procurement@Tbcbank.ge
- ბანკის მიერ შესაძლებელია შეწყდეს ტენდერი, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში (მხოლოდ ერთი სატენდერო განაცხადი და ა.შ.), რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე;
- სხვა დანარჩენი პირობები, შემდგომში გამყიდველსა და მყიდველს შორის გათვალისწინებულ იქნება ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულებაში.

**მადლობა დაინტერესებისთვის.**

**გისურვებთ წარმატებას.**